|       | პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური  |                                  |
|       | პროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში განსაზღვრული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.</p> |                                  |
|       | პროგრამის მიზანი                      | ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა  |                                  |

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | დასახელება                                     | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი | 2027 წელი |
|-----------------|--|-----------|-----------|-----------|-----------|
| 03 00           | დასუფთავება და გარემოს დაცვა                   | 2 996,2   | 2 190,6   | 2 220,6   | 2 220,6   |
| 03 01           | დასუფთავება და ნარჩენების გატანა               | 2 111,0   | 2 130,6   | 2 130,6   | 2 130,6   |
| 03 01 01        | ა(ა)კ დმანისის სერვის ჯგუფი                    | 2 111,0   | 2 130,6   | 2 130,6   | 2 130,6   |
| 03 02           | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 0,0       | 0,0       | 0,0       | 0,0       |
| 03 03           | კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში    | 855,2     | 30,0      | 60,0      | 60,0      |



ა) დასუფთავება და ნარჩენების გატანა

| კოდი  | პროგრამის დასახელება                   | დასუფთავება და გარემოს დაცვა   | 202 წლის დაფინანსება<br>(ათას ლარში) |
|-------|--|--|--------------------------------------|
| 03 01 |  |  | 2 111.0                              |
|       | პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი   |                                      |
|       | პროგრამის აღწერა                       | <p>დმანისის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავშიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ -დმანისის სერვის ჯგუფი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ქალაქში და სოფლებში, რომლის გატანაც ხდება ქალაქ ბოლნისში არსებულ სპეციალურ ნაგავსაყრელზე.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 650 ერთეულს, მათ შორის 172 განთავსებულია ქალაქში, ხოლო დანარჩენი სოფლებში - 478. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 34 მ/კუბ ნარჩენი. ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენების მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 78000 მ2 ქუჩებისა და 24180 მ2 სკვერების დასუფთავება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება არსებული პარკების და სკვერების მოვლა - პატრონობა, კერძოდ არსებული მწვანე ნარგავების მოვლის და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შენამელა აღნიშნულ ღონისძიებებს ემსახურება 3 თანამშრომელი.</p> <p>კომუნალური სამსახური მომსახურებას უწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობას 3441 სანათი წერტილის დაზიანების შემთხვევაში გამოცვლას, ამორტიზებული ბომბების შეკეთებას ახლით ჩანაცვლებას, აღნიშნულ ღონისძიებას ემსახურება 3 თანამშრომელი.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების უფასო მოხვნა ერთ ჰექტრამდე იმ ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000 -ს. ასევე მომსახურებას გაუწევს სასმელი წყლის სისტემების მოვლა-შენახვას დაზიანებული ხაზების დროულ აღდგენას და ხარისხიანი წყლის მიწოდება მოსახლეობისათვის.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის ხელფასებს. სულ სამსახურში დასაქმებულია 75 თანამშრომელი</p> |                                      |
|       | პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტში სუფთა და ჯანსაღი გარემოს პირობების არსებობა  |                                      |

ა.ა) დასუფთავება და ნარჩენების გატანა

| კოდი     | ქვეპროგრამის დასახელება                  | დასუფთავება და ნარჩენების გატანა   | 2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|----------|--|--|------------------------------------|
| 03 01 01 |  |  | 2 111,0                            |
|          | ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი   |                                    |
|          | ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>პროგრამის ფარგლებში ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური“ ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა და ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ დმანისიდან და მუნიციპალიტეტის 43 სოფლიდან. შეგროვებული ნარჩენები გადის ქალაქ ბოლნისის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 650 ერთეულს, მათ შორის 172 განთავსებულია ქალაქში და 478 მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 34 მ<sup>3</sup>/კუბ ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენის მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 78 000 მ<sup>2</sup> ქუჩებისა და 24 180მ<sup>2</sup> სკვერების დასუფთავება. პროგრამიდან ფინანსდება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება. პროგრამის ფარგლებში ქ.დმანისში, მიმდებარე სოფლებში ხორციელდება ქუჩებისა და ტროტუარების დასუფთავება, მერიის საკუთრებაში ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება.სადაც დასაქმებულია 75 თანამშრომელი</p> |                                    |
|          | ქვეპროგრამის მიზანი                      | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და დასუფთავების მუნიციპალიტეტის სერვისის გამართული ფუნქციონირება რის შედეგად მიიღწევა ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება.   |                                    |

ბ) მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა

| კოდი  | პროგრამის დასახელება                  | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება   | 2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|-------|---------------------------------------|--|------------------------------------|
| 03 02 |                                       |  | 0                                  |
|       | პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ დმანისის კომუნალური სამსახური   |                                    |
|       | პროგრამის აღწერა                      | <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა (რაოდენობა) და სკვერების( რაოდენობა) მოვლა-პატრონობა, კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მოწყვეა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ დმანისის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 2 საშტატო ერთეულის ხელფასის დაფინანსება.</p> |                                    |
|       | პროგრამის მიზანი                      | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და პარკებში მოსახლეობისთვის სასიამოვნო, ჯანსაღი გარემოს შექმნა.  |                                    |

გ) კაპ. დაბანდებები დასუფთავების სფეროში

| კოდი  | პროგრამის დასახელება | კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში | 2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|-------|----------------------|---|------------------------------------|
| 03 03 |                      |   | 855,2                              |



|  |  |
|--|--|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | დმანისის მუნიციპალიტეტის მერია   |
| პროგრამის აღწერა                       | დასუფთავება ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. შექმნილი ნაგავშიდი მანქანები და ნაგვის ურნები ვერ აკმაყოფილებს სრულად იმ მოთხოვნებს რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია. აქედან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მყარი ნარჩენების გატანისათვის საჭირო ინვენტარის, ნაგავშიდი მანქანების და ნაგვის კონტეინერების შეძენა, რათა ნელნელა სრულად მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ათვისება. კერძოდ 2024 წელს გათვალისწინებულია ერთი ცალი ანწე კალათის და სატვირთო ავტომანქანის დარჩენილი თანხების განაღდება-107470 ლარის ოდენობით. ასევე დასაფინანსებელია ორი ერთეული ნაგვის მანქანების დარჩენილი თანხა 378590 ლარის ოდენობით და ერთი ცალი ავტობუსის თანხა 103050 ლარი. |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | დმანისის მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ხელშეწყობა  |

დ) უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები

| კოდი                                   | პროგრამის დასახელება | უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები   | 2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|--|----------------------|--|------------------------------------|
| 03 04                                  |                      |  | 30,0                               |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  |                      | ა(ა)იპ დმანისის კომუნალური სამსახური   |                                    |
| პროგრამის აღწერა                       |                      | <p>პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული მანქანა-ძაღვების თავშესაფარში გადაყვანა, რომელსაც უზრუნველყოფს ტენდერში გამარჯვებული კომპანია. მოუსაფარი შინაური ცხოველის დაჭერა, დროებით თავშესაფარში განთავსება შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით; მოუსაფარ შინაურ ცხოველზე საიდენტიფიკაციო საშუალების განთავსება მიკროჩიპირებით, ან ტატუირებით, ან საჭდით („ბირკით“); საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება: ექიმ-ვეტერინარის ან/და ინოლოგის/ვეტერინოლოგის მიერ ცხოველის ვიზუალური დათვალიერება-დაკვირვება, ცხოველის ბიომასალის (სისხლის, შარდის, ზეწვის და სხვა) ლაბორატორიული კვლევა, მკურნალობა (დეჰელმინთიზაცია, ვაქცინაცია (მათ შორის „კომპლექსური“, „ანტირაბიული“) და სხვა), ოპერაციების (სტერილიზაცია, კასტრაცია, ყურის კუპირება და სხვა) ჩატარება, ცხოველის ევთანაზია; საჭიროების შემთხვევაში, დეზინფექციის, დეზინსექციის, დეზაკარიზაციის და დერატიზაციის ღონისძიებათა განხორციელება; ევთანაზირებული ან დაცემული ცხოველის ღემის გადატანა შესაბამის ბიოთერმულ ცხოველთა სამარხში (ბეკარის ორმოში), ცხოველის ღემის დამარხვისთვის გამოყოფილ სპეციალურ ტერიტორიაზე ან კრემატორიუმში; მოუსაფარი შინაური ცხოველის გაჩუქება, მიკედლება, დაინტერესებული პირისთვის დაბრუნება, საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი მოვლა-პატრონობის პირობების კონტროლი;</p> <p>ზემოთ ჩამოთვლილი ვეტერინარული და სხვა ღონისძიებების გატარების შემდგომ, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ცხოველის (რომელიც არ წარმოადგენს საფრთხეს) ბუნებრივ არეალში ან პირვანდელ საცხოვრებელ ტერიტორიაზე დაბრუნება; საჭიროების შემთხვევაში, სურსათის ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიულ ორგანოსთვის მიმართავა მოუსაფარი შინაური ცხოველების ვაქცინაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად;</p> |                                    |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი |                      | დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა, მოუსაფარი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობა ვეტერინარულ ღონისძიებების გატარების გზით   |                                    |

3. განათლება (04 00)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განიკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს რომლის ფარგლებშიც

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

| დასახელება     |  | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი | 2027 წელი |
|----------------|--|-----------|-----------|-----------|-----------|
| 04<br>00       | განათლება  | 2 646,5   | 1 822,6   | 1 822,6   | 1 822,6   |
| 04<br>01       | სკოლამდელი აღზრდა  | 1 631,6   | 1 631,6   | 1 631,6   | 1 631,6   |
| 04<br>01<br>01 | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება               | 1 631,6   | 1 631,6   | 1 631,6   | 1 631,6   |
| 04<br>01<br>02 | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია              | 0,0       | 0,0       | 0,0       | 0,0       |
| 04<br>02       | პროფესიული განათლების ხელშეწყობა                             | 195,0     | 191,0     | 191,0     | 191,0     |
| 04<br>02<br>01 | საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა                           | 181,0     | 181,0     | 181,0     | 181,0     |
| 04<br>02<br>02 | პროფესიული სტუდენტთა ხელშეწყობა                              | 14,0      | 10,0      | 10,0      | 10,0      |
| 04<br>03       | საჯარო სკოლების დაფინანსება                                  | 819,9     | 0,0       | 0,0       | 0,0       |
| 04<br>03<br>01 | სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა               | 0,0       | 0,0       | 0,0       | 0,0       |
| 04<br>03<br>02 | ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია | 0,0       | 0,0       | 0,0       | 0,0       |

ა) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

| კოდი  | პროგრამის დასახელება                         | სკოლამდელი აღზრდა  | 2024წლის დაფინანსება ათას ლარში |
|-------|--|--|---------------------------------|
| 04 01 |  |  | 1 631,6                         |
|       | <b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b> | დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური   |                                 |
|       | <b>პროგრამის აღწერა</b>                      | საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. დმანისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის დაფინანსება. დღეის მდგომარეობით სკოლამდელი აღზრდის სამსახურში შედის 10 საბავშვო ბაღი, რომელიც ემსახურება შემდეგი დასახლებების მოსახლეობას: სოფელი იაღფლო, სოფელი ზემო ოროზმანი, სოფელი დალარი, სოფელი ქვემო ოროზმანი, სოფელი ბაზაქლო, სოფელი კარაბულაბი, სოფელი განთიადი, სოფელი კივილიქილისა, სოფელი ტნუსი, სოფელი ჯავახი, სოფელი ას კაკლიანი, სოფელი ბოსლები, სოფელი ვარდისუბანი, სოფელი დიდი დმანისი, სოფელი მაშავერა, სოფელი გომარეთი, სოფელი ახა, სოფელი ველისპირი, სოფელი განახლება და სოფელ სარკინეთი. 2020-2021 წლებში განხორციელდა ქალაქ დმანისის N1, სოფელ ჯავახისა და სოფელ განთიადისა და სოფელ მაშავერას საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია, მიმდინარეობს სოფელ ვარდისუბნის, სოფელ გომარეთის; სოფელ სარკინეთის და ქალაქ დმანისის N2- N3 ბაღების სრული რეაბილიტაცია. აღნიშნული დასრულებულია 2022 წელს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სამომავლოდ დაგეგმილია ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა სოფელ ბოსლებში და ასევე ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ დიდ სოფლებში |                                 |



|                  |   |
|------------------|---|
| პროგრამის მიზანი | პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტის 2-დან 6-წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობა |
|------------------|---|

ა.ა) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელშეწყობა

| კოდი     | ქვეპროგრამის დასახელება                  | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელშეწყობა  | 2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|----------|--|--|------------------------------------|
| 04 01 01 |  |  | 1 631,6                            |
|          | ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური   |                                    |
|          | ქვეპროგრამის მიზანი                      | სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა  |                                    |
|          | ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 9 საბავშვო ბაღი და დამატებით რეაბილიტაციის პროცესშია ერთი ბაღი - ქალაქ დმანისის N1, N2, N3 ბაღები, სოფელ განთიადის, სოფელ ჯავახის, სოფელ ვარდისუბნის, სოფელ სარკინეთის, სოფელ მაშავერასა და სოფელ გომარეთის საბავშვო ბაღები. მთლიანად სამსახურში დასაქმებულია 60 თანამშრომელი, მათ შორის 16 აღმზრდელი და 12 თანამშემწე, ხოლო ირიცხება 340 აღსაზრდელი, აქედან ბიჭი 172, გოგო 168. ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახური“ დაქვემდებარებაში შემავალ საბავშვო ბაღებში დაწყებულია მზადება ავტორიზაციისათვის, რაც მოიცავს ბაღების რეაბილიტაციას, აღმზრდელ-პედაგოგების გადამზადებასა და ა.შ. ადგილობრივი სუბსიდიის ხმარდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაღების შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ავეჯის განახლებასა და ა.შ. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.</p> |                                    |

ბ) საგანმანათლებლო ცენტრი

| კოდი     | ქვეპროგრამის დასახელება                  | საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა   | 2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|----------|--|--|------------------------------------|
| 04 02 01 |  |  | 181,0                              |
|          | ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი   |                                    |
|          | ქვეპროგრამის მიზანი                      | მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენისა და უცხო ენების შესწავლის უზრუნველყოფა, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სახელმწიფო ენის სწავლის ხელშეწყობა და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში.   |                                    |
|          | ქვეპროგრამის აღწერა                      | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში, კერძოდ ქალაქ დმანისში ფუნქციონირებს ააიპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც წარმოადგენს სკოლის გარეშე სასწავლო დაწესებულებას. დაფუძნდა 2008 წლის 18 დეკემბერს. საგანმანათლებლო ცენტრში წარმოებს სახელმწიფო ენისა და უცხო ენის (ინგლისური) უფასო სწავლება. 2021 წლის დასაწყისში ქართული ენის სასწავლო პროგრამაში ახალგაზრდებში, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობებში, ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი ინტერესის გაღვივებისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით მოხდა საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის ინტეგრირება. პროგრამა არის ერთწლიანი და ხდება თანმიმდევრული შესწავლა დონეების მიხედვით (ინდივიდუალური მიდგომა). ცენტრში დადგენილია კვირაში 5 დღიანი სასწავლო/სააღმზრდელო პროცესი. ცენტრში დასაქმებულია 9 ადამიანი და მიმდინარე წელს პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე სწავლობდა 157 ბენეფიციარი ჯგუფის წარმომადგენელი. პროგრამის ფარგლებში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობის დაფინანსებით მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი, რომელიც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლიბიდან ახციან მათ</p> |                                    |

|  |   |
|--|---|
|  | <p>ორიზმანი, ბაზაქლო, დალარი, კარაბულახი, შინდლარი, დაგარახლო, ამალო, მამიშლო და სოფლებთან ერთად ქალაქ დმანისის მკვიდრი ახალგაზრდები.</p> |
|--|---|

გ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა

| კოდი  | პროგრამის დასახელება                         | საჯარო სკოლების დაფინანსება  | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|-------|--|--|----------------------------------|
| 04 03 |  |  | 819,9                            |
|       | <b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b> | დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური  |                                  |
|       | <b>პროგრამის მიზანი</b>                      | საჯარო სკოლებში კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნა.  |                                  |
|       | <b>პროგრამის აღწერა</b>                      | <p>ქვეპროგრამა მოიცავს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ქვეპროგრამას ახორციელებს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია. რეისების ჯეროვნად შესრულებას კი ზედამხედველობას უწევს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. ტრანსპორტირება ხორციელდება მუნიციპალიტეტში მოქმედი სკოლების მოთხოვნისამებრ და ქვეპროგრამით სარგებლობს სხვადასხვა სოფლის წარმომადგენელი მოსწავლეები. პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ზოგიერთ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლად, შესაბამისად მოსწავლეებს ტრანსპორტი ემსახურება დირექტორის მიერ განსაზღვრული გრაფიკით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამაში ჩართულია .... მოსწავლე. 2021 წელს პროგრამით სარგებლობენ შემდეგი სოფლის მოსწავლეები: კიზილქილისა, ბოსლები, გუგუთი, დიდი დმანისი</p> |                                  |

| კოდი     | ქვეპროგრამის დასახელება                         | სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება   | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|----------|---|--|----------------------------------|
| 04 03 01 |   |  |                                  |
|          | <b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b> | დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური  |                                  |
|          | <b>ქვეპროგრამის მიზანი</b>                      | საჯარო სკოლებში კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნა.  |                                  |
|          | <b>ქვეპროგრამის აღწერა</b>                      | <p>ქვეპროგრამა მოიცავს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ქვეპროგრამას ახორციელებს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია. რეისების ჯეროვნად შესრულებას კი ზედამხედველობას უწევს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. ტრანსპორტირება ხორციელდება მუნიციპალიტეტში მოქმედი სკოლების მოთხოვნისამებრ და ქვეპროგრამით სარგებლობს სხვადასხვა სოფლის წარმომადგენელი მოსწავლეები. პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ზოგიერთ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლად, შესაბამისად მოსწავლეებს ტრანსპორტი ემსახურება დირექტორის მიერ განსაზღვრული გრაფიკით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამაში ჩართულია .... მოსწავლე. 2023 წელს პროგრამით სარგებლობენ შემდეგი სოფლის მოსწავლეები: კიზილქილისა, ბოსლები, გუგუთი, დიდი დმანისი</p> |                                  |



|  |   |  |                                  |
|--|---|--|----------------------------------|
| კოდი                                     | ქვეპროგრამის დასახელება   | ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| 04 03 02                                 |   |  |                                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური   |  |                                  |
| ქვეპროგრამის მიზანი                      | მუნიციპალიტეტის სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება   |  |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა                      | ქვეპროგრამა მოიცავს, დღეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების აშენება, რეაბილიტაციას და ზოგადად ინფრასტრუქტურის განვითარება/გამართვას. მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ქვეპროგრამას ზედამხედველობას უწევს მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური. მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოქმედებს 27 საჯარო სკოლა, აქედან 17 საშუალო და 10 საბაზო სკოლა. პროგრამის ფარგლებში 2018 წლიდან დღემდე მოეწყო სკოლათა სველი წერტილები( ქალაქ დმანისის N1.განთიადის საჯარო სკოლა, მამავერას საჯარო სკოლა, დიდი დმანისის საჯარო სკოლა, კამარლოს სკოლა, დაგარახლოს სკოლა, ოროზმანის სკოლა და სხვა), შეივალა სახურავი სარკინეთის სკოლაში, დამონტაჟდა გათბობის სისტემები და სხვა. |  |                                  |

#### 4. კულტურა, ახალგაზრდობა სპორტი 05 00

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

##### ა) სპორტის სფეროს განვითარება

| პრიორიტეტის/პროგრამების/ქვეპროგრამის /ღონისძიებების დასახელება | 2024 წელი | 2025 წელი | 2026 წელი | 2027 წელი |
|--|-----------|-----------|-----------|-----------|
| 05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი                          | 2 841,0   | 2 785,0   | 2 785,0   | 2 785,0   |
| 05 01 სპორტის სფეროს განვითარება                               | 720,2     | 720,2     | 720,2     | 720,2     |
| 05 01 01 სპორტული სკოლის ხელშეწყობა                            | 580,0     | 580,0     | 580,0     | 580,0     |
| 05 01 02 სპორტული ღონისძიებები                                 | 140,2     | 140,2     | 140,2     | 140,2     |
| 05 02 კულტურის სფეროს განვითარება                              | 1 735,8   | 1 757,8   | 1 757,8   | 1 757,8   |
| 05 02 01 კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა                  | 944,5     | 926,5     | 926,5     | 926,5     |
| 05 02 02 სახელოვნებო დაწესებულებების ხელშეწყობა                | 246,8     | 246,8     | 246,8     | 246,8     |
| 05 02 03 საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა                    | 229,5     | 229,5     | 229,5     | 229,5     |
| 05 02 04 კულტურული ღონისძიებები                                | 315,0     | 355,0     | 355,0     | 355,0     |
| 05 03 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა                      | 200,0     | 100,0     | 100,0     | 100,0     |

|                             |                          |   |       |       |                                    |
|-----------------------------|--------------------------|---|-------|-------|------------------------------------|
| 05 05                       | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 138,0   | 160,0 | 160,0 | 160,0                              |
| 05 06                       | საგამომცემლო საქმიანობა  | 45,0  | 45,0  | 45,0  | 45,0                               |
| კოდი                        | პროგრამის დასახელება     | სპორტის სფეროს განვითარება  |       |       | 2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
| 05 01                       | ა                        |   |       |       | 720,2                              |
| პროგრამის განმახორციელებელი |                          | დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური   |       |       |                                    |
| პროგრამის აღწერა            |                          | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისთვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2023 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება სპორტული სკოლა. პროგრამის ფარგლებში მოხდება სპორტული ობიექტების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია. მეორე ქვეპროგრამა ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით და მოიცავს მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტული ღონისძიებების დაგეგმვასა და ჩატარებას. |       |       |                                    |
| პროგრამის მიზანი            |                          | სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სულიერად და ფიზიკურად განვითარებული პიროვნების ფორმირება, სპორტული ტრადიციების დაცვა, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება.  |       |       |                                    |

|   |                         |   |                                    |
|---|-------------------------|---|------------------------------------|
| კოდი                                    | ქვეპროგრამის დასახელება | სპორტული სკოლის ხელშეწყობა  | 2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
| 05 01 01                                |                         |   | 580,0                              |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი          |                         | ა(ა)იპ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა  |                                    |
| ქვეპროგრამის აღწერა                     |                         | აიპ " ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა" - უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას 8 სპორტის სახეობის მიმართულებით, სკოლას აქვს ფილიალი სოფელ განთიადში, სოფელ გომარეთსა და სოფელ ვარდისუბანში. ორგანიზაციაში დასაქმებულია 22 თანამშრომელი, აქედან 3 ქალი და 19 კაცი. მოქმედებს შემდეგი სპორტული წრეები: ჭიდაობა- მიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭიდაობა - ქართული, ჭიდაობა - სამბო, ჭადრაკი, ფეხბურთი, კრივი და კარატე 13 მწვრთნელი ემსახურება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (6 დან - 18 წლამდე) ახალგაზრდას. სკოლაში რიცხულია 192 ბენეფიციარი, სპორტული წრეების სპეციფიკიდან გამომდინარე მათ შორის ყველა ბიჭია. სკოლა გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით და ხელს უწყობს მის დაწერვასა და პოპულარიზაციას. იგეგმება ფრენბურთის წრის დამატება. ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს და ახორციელებს მათ წახალისებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ წრეებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც. |                                    |
| ქვეპროგრამის მიზანი და მისაღწევი შედეგი |                         | დმანისის მუნიციპალიტეტში სპორტული სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობით მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, ახალგაზრდობის ჩართულობის გაზრდა სპორტში და პერსპექტიული სპორტსმენების აღზრდა. მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება.   |                                    |

|                                |                         |  |                                    |
|--------------------------------|-------------------------|--|------------------------------------|
| კოდი                           | ქვეპროგრამის დასახელება | სპორტული ღონისძიებები  | 2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
| 05 01 02                       |                         |  | 140,2                              |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი |                         | დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური  |                                    |
| ქვეპროგრამის აღწერა            |                         | ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ჩატარდება ტურნირები და სახელობითი თასის შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, აღინიშნება ევროპის სპორტის კვირული. დაიგეგმება სხვადასხვა აქტივობები სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ამასთან, დაფინანსდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადები, სადაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა სკოლის მოსწავლე იქნება ჩართული. წარმატებულ სპორტსმენებთან ჩატარდება შეხვედრები |                                    |



|                     |   |
|---------------------|---|
|                     | ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა, განსაზღვრული ბიუჯეტი მოხმარდება ფორმების, თასების, სიგელებისა და სხვა სპორტული ინვენტარის შექმნას. |
| ქვეპროგრამის მიზანი | სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა  |

ბ) კულტურის სფეროს განვითარება

| კოდი | პროგრამის დასახელება                          | კულტურის სფეროს განვითარება   | 2023 წლის დაფინანსება<br>(ათას ლარში) |
|------|---|---|---------------------------------------|
|      |   |   | 1 735,8                               |
|      | <b>პროგრამის განმახორციელებელი</b>            | დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური   |                                       |
|      | <b>პროგრამის აღწერა</b>                       | დმანისის მუნიციპალიტეტის მიზანია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობის უზრუნველყოფა, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების პოპულარიზაცია, კულტურული ტურიზმის განვითარება და შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელშეწყობა. ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 200-მდე კულტურული ძეგლის აღწერა, მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია. მუნიციპალიტეტი ორიენტირებულია ახალგაზრდების საზოგადოებრივ, კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობაზე. დმანისის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედეგად 4 ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება 3 მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე. ესენია: ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, რომელსაც აქვს ფილიალი სოფელ გომარეთში, ა(ა)იპ დმანისის სამუსიკო სკოლა - ფუნქციონირებს სოფელ განათიადისა და სოფელ ვარდისუბნის ფილიალები და დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური, რომელშიც შედის საბავშვო, ცენტრალური და ოთხი სოფლის (ამამლო, გომარეთი, ვარდისუბანი, განთიადი) ბიბლიოთეკა. მეოთხე ქვეპროგრამას მოიცავს ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ორგანიზებას, კულტურული მრავალფეროვნების ფესტივალების, სხვადასხვა კონცერტების გამოფენების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების დაგეგმვა-განხორციელებასა და ახალგაზრდების ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრის ორგანიზებას |                                       |
|      | <b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b> | დმანისის მუნიციპალიტეტის მიზანია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობის უზრუნველყოფა, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების პოპულარიზაცია, ტურიზმის განვითარება და შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელშეწყობა.  |                                       |

ბ.ა) კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება               | კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა   | 2023 წლის დაფინანსება<br>(ათას ლარში) |
|------|---------------------------------------|--|---------------------------------------|
|      |                                       |  | 944,5                                 |
|      | <b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b> | ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი   |                                       |
|      | <b>ქვეპროგრამის აღწერა</b>            | ქვეპროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისა და მოზარდების ჩართულობის უზრუნველყოფა ხალხურ შემოქმედებაში, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული კოლექტივების, სახელოვნებო და სხვა წრეების საქმიანობაში. ახალგაზრდებში ესთეტიური გემოვნების ჩამოყალიბება და მათი აღზრდა - განათლება ქართული ტრადიციების შესაბამისად. სახვითი, (ფერწერა, გრაფიკა, ხატვა) გამოყენებითი და ხალხური ხელოვნების (თექის დამუშავება, ქსოვა, ქარგვა, ხეზე კვეთა) განვითარების ხელშეწყობა, მივიწყებული ტრადიციული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია: ხალხური მთქმელების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების, ოსტატების გამოვლენა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა. ასევე განსაკუთრებული და გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა და ხელშეწყობა. ხალხური მუსიკის, ქორეოგრაფიული და ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის ნიმუშების შეგროვების, შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის პირობების შექმნა, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშებისადმი ინტერესის გაოვიზა, ორიენტირების, ჩრდილოეთისა და თამაშობების ფიქსაცია, |                                       |

|                     |   |
|---------------------|---|
|                     | <p>სამუზეუმო და ტურისტული საქმიანობის განხორციელება. ამ ექსპოზიციებისათვის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა მასალის მომზადება, საზოგადოებისათვის წარმოჩენა, თანამშრომლობა მუნიციპალიტეტის ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საქართველოს ეროვნულ და სხვა მუზეუმებთან, ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან, უცხოეთის სხვადასხვა სამუზეუმო, სამეცნიერო და კულტურის ცენტრებთან.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოების ორგანიზებას;</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას, ასევე სასწავლო-სარეკტივიო პროცესში სოფლად მცხოვრები ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფა. ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულებები, მათ შორის ქართული ხალხური რეწვის (თექა და ხეზე კვეთა), ხატვის, ფოლკლორული (სიმღერა და ცეკვა), ხალხური საკრავების, საგალობლების, საესტრადო, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების და თეატრალური სტუდიები. ასევე, ფოლკლორული ანსამბლები (ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი "შგარიდა", ქალთა ფოლკლორული ანსამბლი "ირინოლა", ინტერნაციონალური ანსამბლი "დმანისური აისი"), სტუდიებში დღეისათვის დადის 324 ბავშვი (გოგო და ბიჭი); ხალხური სიმღერის სტუდია ---; ცენტრში დასაქმებულია 57 თანამშრომელი (ადმინისტრაცია, სტუდიების ხელმძღვანელები, ანსამბლების წევრები და სხვ.) აქედან 22 შტატისანი და 36 შტატგარეშე თანამშრომელი.. ქალი ... კაცი ... ცენტრში ფუნქციონირებს არქეოლოგიური საქსპოზიციო დარბაზი, სადაც განთავსებულია 600-ზე მეტი ექსპონატი. საქსპოზიციო დარბაზის მნახველთა რაოდენობა წლის განმავლობაში საშუალოდ 1200-1500-ია. ცენტრში ასევე ფუნქციონირებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი.</p> |
| ქვეპროგრამის მიზანი | დმანისის მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისა და მოზარდების ჩართულობის უზრუნველყოფა ხალხურ შემოქმედებაში  |

| კოდი                           | ქვეპროგრამის დასახელება | სახელოვნებო დაწესებულების ხელშეწყობა   | 2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|--------------------------------|-------------------------|--|------------------------------------|
| 05 02 02                       |                         |  | 246.8                              |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი |                         | ა(ა)იპ დმანისის სამუსიკო სკოლა   |                                    |
| ქვეპროგრამის აღწერა            |                         | ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ "დმანისის სამუსიკო სკოლა" და მასში შემავალი ორი ფილიალი - სოფელ ვარდისუბნისა და სოფელ განთიადის ფილიალები, რომლის მიზანია საფორტეპიანო კლასიკური მუსიკის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, რათა მოსწავლეები ეზიარონ ხელოვნების საფუძვლებს. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების ფესტივალებსა და კონკურსებში, მუსიკალურ-შემეცნებით წარმოდგენებში მონაწილეობა. სამუსიკო სკოლაში განათლებას იღებს 65 მოსწავლე - გოგო ... ბიჭი ... აქედან, ვარდისუბნის ფილიალში დადის ხოლო განთიადის ფილიალში კი - ; სკოლაში დასაქმებულია (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 15 თანამშრომელი, აქედან 14 ქალი და 1 კაცი. 2023 წელს დაგეგმილია მოსწავლეთათვის კულტურულ-შემეცნებითი ტურები, როგორც არის სხვადასხვა კულტურულ სადამოებზე, თეატრის, ოპერისა და ბალეტის წარმოდგენებზე დასწრება და სხვა. |                                    |
| ქვეპროგრამის მიზანი            |                         | ხელოვნებისადმი ინტერესის გაზრდა და საფორტეპიანო, კლასიკური მუსიკის საფუძვლების შესწავლა  |                                    |

| კოდი                           | ქვეპროგრამის დასახელება | საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა     | 2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|--------------------------------|-------------------------|--|------------------------------------|
| 05 02 03                       |                         |  | 229.5                              |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი |                         | ა(ა)იპ დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური |                                    |



|                     |   |
|---------------------|---|
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ საბიბლიოთეკო სამსახური, რომლის მიზანია ბიბლიოთეკისა და ზოგადად წიგნის კითხვის მიმართ ინტერესის გაზრდა, წიგნის კითხვის პოპულარიზაცია. საბიბლიოთეკო სამსახურში შედის: საბავშვო ბიბლიოთეკა, სოფელ განთიადის ფილიალი, სოფელ ვარდისუბნის ფილიალი, სოფელ გომარეთის ფილიალი, სოფელ ამამლოს ფილიალი. სამსახურში დასაქმებულია 13 ადამიანი, მათგან ყველა ქალია. ბიბლიოთეკები ყველა ასაკის მკითხველს ემსახურებიან. საბიბლიოთეკო სამსახურის წიგნადი ფონდი შეადგენს .... წიგნს. წიგნიერების დონის გაზრდის, მოსახლეობაში და განსაკუთრებით ბავშვებში კითხვის პოპულარიზაციის, საუკეთესო მკითხველების გამოვლენის მიზნით, ბიბლიოთეკის მიერ დაგეგმილია რიგი ღონისძიებები: ჩატარდება ინტერაქტიული, სათავგადასავლო თამაშები, რომლის ფარგლებშიც გაიმართება წიგნის აუქციონი, ლიტერატურული სასამართლოები, პოეტური ბატლი, გამართება ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები, სხვადასხვა აქტივობებით აღინიშნება კულტურის სფეროში მოღვაწეთა საიუბილეო თარიღები. დაგეგმილია წიგნადი ფონდის განახლება და სკოლის მოსწავლეთა ჩართულობით კულტურულ-შემეცნებითი შეხვედრები მწერლებთან, ხელოვანებთან და სხვა. |
| ქვეპროგრამის მიზანი | ბიბლიოთეკისა და ზოგადად წიგნის კითხვის მიმართ ინტერესის გაზრდა  |

ბ.დ) კულტურული ღონისძიებები

| კოდი     | ქვეპროგრამის დასახელება        | კულტურული ღონისძიებები  | 2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|----------|--------------------------------|---|------------------------------------|
| 05 02 04 |                                |   | 315,0                              |
|          | ქვეპროგრამის განმახორციელებელი | დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური   |                                    |
|          | ქვეპროგრამის აღწერა            | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ისეთი კულტურული ღონისძიებები, სადაც შეტად იქნება წარმოდგენილი სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულება (საზვიითი, თეატრალური, სამუსიკო და ტრადიციული). ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფისა და მოქალაქეების ჩართულობა, ამ მიზნით მოხდება მათთან შეხვედრების ორგანიზება. იგეგმება კულტურული ღონისძიებები როგორც არის: საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, სახალხო დღესასწაული "დმანისობა", გომარეთობა, ეთნო ფესტივალი, სახალწლო კონცერტი და სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი შეხვედრები ახალგაზრდობისთვის, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფესტივალი - შემოქმედი ახალგაზრდობა და სხვა. |                                    |
|          | ქვეპროგრამის მიზანი            | მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, კულტურის სფეროს დარგების ხელშეწყობა და მათი პოპულარიზაციისათვის შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება, სანახაობრივი მაღალი ხარისხის კულტურული ღონისძიებების ჩატარება, მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა.   |                                    |

ბ.ე) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

| კოდი  | პროგრამის დასახელება                    | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა  | 2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|-------|---|--|------------------------------------|
| 05 03 |   |  | 200,0                              |
|       | პროგრამის განმახორციელებელი             | დმანისის მუნიციპალიტეტის მერია   |                                    |
|       | პროგრამის აღწერა                        | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა. |                                    |
|       | პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი. | რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდა და მოსახლეობის სულიერობის ამაღლება.   |                                    |

ბ.ვ) ინიციატივების თანადაფინანსება

| კოდი | პროგრამის დასახელება | ინიციატივების თანადაფინანსება | 2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|------|----------------------|-------------------------------|------------------------------------|
|------|----------------------|-------------------------------|------------------------------------|

|                                    |  |     |
|------------------------------------|--|-----|
| 05 04                              |  | 2.0 |
| <b>პროგრამის განმახორციელებელი</b> | დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური  |     |
| <b>პროგრამის აღწერა</b>            | <p>იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდები წარმოადგენენ საზოგადოების მნიშვნელოვან სეგმენტს, რომელთაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვთ, დმანისის მუნიციპალიტეტმა რუსთავის ჰაბთან თანამშრომლობით შემუშავდა აღნიშნული პროგრამა, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ახალგაზრდული ინიციატივების ან მათი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას. პროგრამას საფუძვლად უდევს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის N7054 დადგენილება „2020-2030 ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის დამტკიცების შესახებ, რომლის მე-3 პუნქტის მიხედვით ეთხოვათ მუნიციპალიტეტებს ხელი შეუწყონ კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას.</p> <p>პროგრამის არსი მდგომარეობს შემდეგში: დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის მერიის გარდა, რომელიმე დონორი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში (რომელიც ეხება ახალგაზრდობის გაძლიერებას) გამარჯვების შემთხვევაში, თანადაფინანსების მსურველი ფიზიკური პირი ან არასამთავრობო ორგანიზაცია მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგენს წერილობით საპროექტო განაცხადს, რომელსაც განიხილავს შესაბამისი კომისია, მუნიციპალიტეტის მერი და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი დააფინანსებს დონორის მიერ დაფინანსებული პროექტის არამუმეტეს 50 %.</p> |     |
| <b>პროგრამის მიზანი</b>            | დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/ფაქტობრივად მცხოვრები ახალგაზრდა პირების ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პროექტების თანადაფინანსება.  |     |

### 5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას.

#### ა) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 01)

პროგრამის მიზანი: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

